

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში

Student Journal of Social Sciences

№10, დეკემბერი

ელექტრონული სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი

2019

E ISSN: 2449-3066

სარედაქციო კოლეგია:

ვალერიან მელიქიძე – სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი,
საზოგადოებრივი გეოგრაფია

გიორგი კვინიკაძე – ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი გეოგრაფია

მარინა ბურძენიძე – ასოცირებული პროფესორი, სოციოლოგია და სოციალური მუშაობა
სალომე ნამიჭივილი – ასისტენტ-პროფესორი, სოციოლოგია და სოციალური მუშაობა

ნანული ტალახაძე – ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკა და მასკომუნიკაცია
მანანა შამილიშვილი – ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკა და მასკომუნიკაცია

სალომე დუნდუა – ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერება

ავთანდილ ტუკვაძე – ასისტენტ-პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერება

ფიქრია ასანიშვილი – ასოცირებული პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობები

დავით მაცაბერიძე – ასისტენტ-პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობები

თეონა მატარაძე – ასოცირებული პროფესორი, ინტერდისციპლინური დეპარტამენტი

ტექნიკური ჯგუფი:

თეონა თაბუაშვილი, ოთარ კობახიძე

ს ა რ ზ ე ვ ი

1. მარიამ დარბაიძე, ანა ჯოჯუა.

ფოტო, როგორც მანიპულაციის საშუალება - რუსული მედიის მიერ უკრაინის

წინააღმდეგ გამოყენებული არავერბალური გზავნილების მაგალითზე-----1

2. ავთანდილ დოლიძე, ლელა ჯავახიშვილი.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დედების სოციალური პროფილი----16



ფოტო, როგორც მანიპულაციის საშუალება -
რუსული მედიის მიერ უკრაინის წინააღმდეგ გამოყენებული
არავერბალური გზავნილების მაგალითზე

მარიამ დარბაიძე

ანა ჯოჯუა

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: mdarbaidze@yahoo.com,
annajojua1213@gmail.com

აბსტრაქტი

დღევანდელ სამყაროში ყველაფერი ნიშანია, რომელიც თავისთავად არ არსებობს. ჩვენ უნდა შეგვეძლოს ამ ნიშნების წაკითხვა, რომ გავიგოთ მათი რეალური საზრისები. ხშირად სემიოტიკურ ნიშნებს იყენებენ ტელევიზიები, რათა გარკვეული მესიჯები გააგზავნონ საზოგადოებაში და გამოიყენონ მათი პოლიტიკური მანიპულაციებისთვის. განსაკუთრებით ამ ხერხს მიმართავენ რუსული მედიასაშუალებები უკრაინის წინააღმდეგ.

ნაშრომის მიზანია რუსული მედიის მიერ უკრაინის წინააღმდეგ გამოყენებული ფოტომანიპულაციების კვლევა. კვლევის მეთოდად შევარჩიეთ კონოტაციური სემიოტიკის მეთოდი. ამ გზით გამოვიკვლიეთ შერჩეული ფოტომასალის დენოტაციური და კონოტაციური დონეები. ილუსტრაციების გამოკვლევის შედეგად გამოვავლინეთ მანიპულირების გზები და ხერხები. თეორიულ ჩარჩოდ ვიყენებთ როლანდ ბარტის კონოტაციების შექმნის ექვს ხერხს. რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურის განხილვის, კვლევის მიზნების, ამოცანებისა და საკვლევი კითხვების განსაზღვრის შემდეგ, კვლევის ჰიპოთეზა ასე ჩამოვყალიბეთ: „რუსული მედიასაშუალებები აქტიურად და მიზანმიმართულად იყენებენ ფოტოს, როგორც მანიპულაციის ეფექტურ საშუალებას, უკრაინის წინააღმდეგ საინფორმაციო ომში, რაც სამიზნე აუდიტორიაზე ზემოქმედებისა და მისი შეცდომაში შეყვანის მიზანს ისახავს“.

ჩვენი კვლევის მიზანია გავშიფროთ რუსული მედიის ფოტომანიპულაციების თავისებურებები დეტონაციურ და კონოტაციურ დონეზე. ამან საშუალებას მოგვცა განგვესაზღვრა თუ რა გზებს იყენებს რუსული მედია უკრაინის წინააღმდეგ მიმართულ საინფორმაციო ომში.

ფოტოს - როგორც სიმბოლოს დიდი ძალა აქვს. მას ხშირად იყენებენ სხვადასხვა ქვეყნის მედია საშუალებები, რათა აუდიტორიამდე მიიტანონ მათთვის სასურველი მესიჯები. ეს პრაქტიკა ნაცადია, ხილულია, უფრო დამაჯერებელია და იყენებენ სხვადასხვა ხერხით: კარიკატურის, ფოტომანიპულაციის, ფოტოპორტრეტის სახით. ზოგჯერ არაკეთილსინდისიერადაც ხდება მისი გამოყენება. ვიზუალურ ფოტო ინფორმაციას ხშირად მიმართავენ ქვეყნები კონფლიქტური და საომარი მოქმედებების დროს. სწორედ ასეთ ხერხს მიმართა რუსეთმა უკრაინასთან ომის დროს. საკითხი აქტუალურია თემატიკიდან გამომდინარე. თემატიკის ანალიზით შეიძლება გამოვავლინოთ ყალბი ინფორმაციის გავრცელების გზები და დეზინფორმაციის ხერხები. თემა პოლიტიკურ ჭრილშიც მეტად მნიშვნელოვანია.

საკვანძო სიტყვები: ფოტო მანიპულაცია, რუსული მედია, უკრაინის ომი, ვიზუალური ინფორმაცია.

შესავალი

თანამედროვე სამყარო ვიზუალური კულტურის პრიმატიტაა აღბეჭდილი. შესაბამისად, ვიზუალურ ინფორმაციას - ფოტოს, სიმბოლოს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მედია ეფექტურად იყენებს ვიზუალურ შემადგენელს კონკრეტული მესიჯების სამიზნე აუდიტორიამდე მისატანად. ამ გზით ასევე იოლად ახერხებენ სხვადასხვა ქვეყნები სასურველი საინფორმაციო პოლიტიკის წარმოებას. განსაკუთრებით ხშირად იყენებენ ინფორმაციის ვიზუალიზების საშუალებებს კონფლიქტებისა და საომარი მოქმედებების გაშუქებისას, ვითარების სასურველი კუთხით წარმოჩენის მიზნით. თუმცა, ყოველთვის არ ხდება კეთილსინდისიერი მეთოდებით მათი გამოყენება. ხშირად მომსწრენი ვხდებით ყალბი ინფორმაციის გავრცელების, დეზინფორმაციისა და მანიპულაციის შემთხვევებისა, რომელთაც

ვიზუალური საშუალებებით - კარიკატურის, ფოტომანიპულაციის, სიმბოლური ილუსტრაციის, ფოტოპორტრეტისა თუ სხვა ხერხით ახორციელებენ. სადღესოდ ეს ნაცადი პრაქტიკაა, რადგან ხილულს მეტი გავლენა აქვს, ვიდრე ვერბალურს. წინამდებარე ნაშრომი სწორედ აღნიშნული ტენდენციის დადასტურების მცდელობაა კონკრეტული შემთხვევის მაგალითზე. კერძოდ, იგი რუსეთ - უკრაინის ომის მიმდინარეობისას რუსეთის მხრიდან გამოყენებული ვიზუალური მანიპულირების ჩვენების მიზანს ისახავს.

საკითხის აქტუალურობა მისი თემატიკიდან მომდინარეობს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინფორმაციის ვიზუალიზების ტენდენციების კვლევა და ფოტომანიპულაციების გამოვლენის მცდელობები სადღესოდ მეტად მნიშვნელოვანია. ამ თემატიკის ანალიზი საშუალებას გვაძლევს, სიღრმისეულად ვიკვლიოთ მედიის ვიზუალური შემადგენელი და გამოვავლინოთ ფაბრიკაციებისა და ყალბი ინფორმაციის გავრცელების ხერხები. ამასთანავე, მისი აქტუალურობა იზრდება, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, პოლიტიკური დატვირთვის კუთხითაც.

რუსეთი პროპაგანდისტურ ომს აწარმოებს მედიასაშუალებების მეშვეობით, რომლებსაც იგი ყოველწლიურად მინიმუმ 1 მილიარდზე მეტ აშშ დოლარს ახარჯავს, აფინანსებს ისეთ მედიასაშუალებებს, როგორებიცაა sputnik და Russia Today. მისი პროგრამისტიკული ომი უკრაინის წინააღმდეგ საკმაოდ მძლავრია, განსაკუთრებით გამოირჩეოდა 2014-2015 წლებში იმდენად, რომ ევროკავშირმა შეიმუშავა სტრატეგიები აღმოსავლეთ ქვეყნებისთვის, რაც ამ ქვეყნებში თავისუფალი მედიის მხარდაჭერას გულისხმობს. წინამდებარე ნაშრომი სწორედ მსგავსი პროპაგანდისტული ვიზუალური მასალების კვლევას ემსახურება.

რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურის განხილვის, კვლევის მიზნების, ამოცანებისა და საკვლევი კითხვების განსაზღვრის შემდეგ, კვლევის ჰიპოთეზა ასე ჩამოვყალიბეთ: „რუსული მედიასაშუალებები აქტიურად და მიზანმიმართულად იყენებენ ფოტოს, როგორც მანიპულაციის ეფექტურ საშუალებას, უკრაინის წინააღმდეგ საინფორმაციო ომში, რაც სამიზნე აუდიტორიაზე ზემოქმედებისა და მისი შეცდომაში შეყვანის ამოცანას ისახავს“.

ლიტერატურის მიმოხილვა

თემაზე მუშაობისას გავეცანით სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურას, რომელიც დღესდღეობით საკმაოდ მოიპოვება. ამ ნაშრომში დიდი ადგილს დავუთმობთ სემიოტიკურ ანალიზს. გამოსახულებების სემიოტიკური განხილვისას, მნიშვნელოვანია ფრანგი ფილოსოფოსის, როლან ბარტის ნაშრომის, „მითოლოგიების“ მოშველიება, რადგან იგი მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის გამოსახულების დეკოდირების თავისებურებებზე და გვეხმარება დაფარული ინფორმაციის ამოცნობაში. ასევე ვიყენებთ ფერდინანდ დე სოსიურის თეორიას. მისი თეორიის თანახმად, ნიშნებს აქვს ბგერები და გამოსახულებები. სოსიური ამ ბგერებსა და გამოსახულებებს აღნიშნულებს უწოდებს, ხოლო ცნებები რომლებიც გამოისახება ამ ბგერებითა და გამოსახულებებით, აღსანიშნებია. (თ. ბერეკაშვილი, 2010). ფოტოებისა და კარიკატურების ანალიზის დროს, საინტერესოა აგრეთვე პოლ ეკმანის ნაშრომის დამოწმება, რომელშიც აღწერილია სახის 7 უნივერსალური გამომეტყველება. პოლ ეკმანი პირველი ფსიქოლოგი იყო, რომელიც დაინტერესდა ემოციებსა და სახის გამომეტყველების კავშირით. მისი თეორიის თანახმად არსებობს სახის 7 გამომეტყველება და ერთი ბუნებრივი მდგომარეობა, რომელსაც არანაირი ემოცია არ გააჩნია. სახის 7 გამომეტყველებაა შიში, გაბუტვა, გაოცება, მწუხარება, გაბრაზება, ზიზღი, სიმტკიცე და ბუნებრივი გამომეტყველება, რომელსაც არ ახლავს თან რაიმე შესამჩნევი გამომეტყველება. (თ. ბერეკაშვილი, 2010)

თეორიულ ჩარჩოდ ვიყენებთ როლანდ ბარტის კონოტაციების შექმნის ექვს ხერხს. ბარტისეული ექვსი ხერხი ფრანგმა სემიოლოგმა ფოტოს მნიშვნელობის დეტალური ანალიზის მიზნით ჩამოაყალიბა და რომელთა მეშვეობითაც ხდება კონოტაციების წარმოშობა. თითოეული ხერხის განხილვამდე, უნდა აღინიშნოს, რომ პირველი სამი ხერხით კოდირებული ფოტოები ძირითადად ახლავს ახალ ამბებს (ნიუსებს), ხოლო მომდევნო სამი ხერხი უფრო სარეკლამო ხასიათისაა.

პირველი კონოტაციური ხერხი გახლავთ „ხრიკების ეფექტი“ (trick effects), რაც გულისხმობს ფოტოს სპეციფიკურ გარდაქმნას კონკრეტული მითური მნიშვნელობის ფორმირების მიზნით. მაგალითად, ფოტოზე აღბეჭდილი პიროვნების სახის გამომეტყველების შეცვლა იმგვარად, რომ მას დამნაშავის საშიში იერი მიეცეს. მსგავს მეთოდს უმეტესად მიმართავენ სენსაციური, დანაშაულის ამსახველი ახალი ამბების გასაფორმებლად. ამ დროს „ხრიკების ეფექტი“ ერევა დენოტაციის ფუნქციებში, აპელირებს მკითხველის რწმენაზე, რომ ფოტო არსებული რელობის ანაბეჭდია და გამოსახულებას სასურველი კონოტაციებით ტვირთავს, ახდენს რა მის კოდირებას რომელიმე კონკრეტული ნიშნით.

კონოტაციების შესაქმნელი მეორე ხერხი იყენებს პოზას. ფოტოზე გამოსახული ადამიანის ფიზიკური მდგომარეობა ხშირად ზეგავლენას ახდენს სურათის აღქმაზე და აღძრავს პიროვნებასთან დაკავშირებულ მითს. მკითხველისთვის ჟესტები, პოზა და სახის გამომეტყველება მრავლისმეტყველია, რადგან ისინი მიეკუთვნებიან იმ კოდებს, რომლებიც დამკვიდრებული და აღიარებულია რომელიმე კონკრეტული ერის კულტურაში. სურათში კონოტირებული მნიშვნელობები ხელს უწყობს ტექსტში ნაგულისხმევი კონოტაციების გამყარებას. სპეციალურად შერჩეულ პოზაში პიროვნების გადაღება არა მარტო იმას აღნიშნავს, როგორი დენოტაციის მატარებელი იქნება ეს ფოტო გაზეთში გამოქვეყნებისას, არამედ მიგვანიშნებს, თუ რომელი კულტურული კოდები შეირჩა ფოტოსურათში კონოტირებული მნიშვნელობების კოდირებისას.

მესამე ხერხი გახლავთ ფოტოკოლაჟი, რომელიც მიმართავს ფოტოში კონკრეტული „ობიექტების“ დენოტაციას, რომლებიც უკვე ფლობენ გარკვეულ კულტურულ კონოტაციებს, რაც საშუალებას იძლევა, ობიექტთან დაკავშირებული კონოტაციები ნიუსის შინაარსზეც გაავრცელონ.

სამივე ხერხი აღნიშნავს, თუ რა არის დენოტირებული ფოტოში და მათ კონოტაციებს. მომდევნო სამი კი გულისხმობს ფოტოს გადაღების მანერასა და მის კონტექსტს.

როგორც თინათინ მაჭარაშვილი თავის სადისერტაციო ნაშრომში აღნიშნავს, „ფოტოგენურობაში“ დენოტირებულია გადაღების მაღალი ხარისხი ან ფოტოზე პიროვნება საუკეთესო სახითაა წარმოჩენილი. ამ ხერხს ძირითადად პორტრეტის/პროფილის გასაფორმებლად მიმართავენ. მეორე გახლავთ „ესთეტიკურობა“, როდესაც ფოტოები ხელოვნების სხვა დარგის კოდურ ელემენტებს იყენებენ და ამით სურათს ანიჭებენ ესთეტიკურ ან არტისტულ მნიშვნელობას. ესთეტიკურ კოდებს ახალი ამბების გასაფორმებლად იშვიათად იყენებენ, რადგან ისინი ეწინააღმდეგებიან ობიექტურობას. ბოლოს, ბარტი განიხილავს „სინტაქსს“, კონოტაციის ხერხს, რომელიც გულისხმობს რამდენიმე ფოტოს ერთმანეთის გვერდით განთავსებას, მსგავსად სიტყვების ერთობლიობისა, რომელიც ემორჩილება ენის სინტაქსის კანონებს. თანმიმდევრული ფოტოები გვხვდება გაზეთში მაშინ, როცა დრამატული მოვლენების ამსახველ რეპორტაჟებს აქვეყნებენ. (თ. მაჭარაშვილი, 2018)

ზემოთ აღნიშნული ლიტერატურა, მეთოდები დაგვეხმარება იმ ვიზუალური მანიპულაციების ქვეტესტების აღმოჩენაში, რომელიც ჩვენს ნაშრომში გვაქვს გამოყენებული. რუსეთის პროპაგანდისტული ომი მთელი სიმძლავრით მოქმედებს, ის არანაკლებ შეეხო უკრაინასაც. რუსეთ-უკრაინის ომის პარალელურად, რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი პროპაგანდისტული ომიც წამოიწყო 2014-2015 წლებში, რაზე უკრაინელმა ჟურნალისტებმა საერთაშორისო დონორებთან გაერთიანებით stopfake.org საიტის შექმნით უპასუხეს. საიტი ემსახურება რუსული მედიასაშუალებების მიერ გამოქვეყნებული ვიზუალური თუ ტექსტური მასალის მხილვას, ფაქტების გამომკარავებასა და სწორი ინფორმაციის გავრცელებას. წინამდებარე ნაშრომში stopfake.org აქტიურად გვაქვს გამოყენებული.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდად შევარჩიეთ სემიოტიკური ანალიზი. კერძოდ, ვიყენებთ კონოტაციური სემიოტიკის მეთოდს. ამ გზით ვიკვლევთ შერჩეული ფოტომასალის დენოტაციურ და კონოტაციურ დონეებს. ილუსტრაციების დესკრიფციისა და დეკოდირების შედეგად გამოვავლენთ მანიპულირების გზებსა და ხერხებს.

ჩვენი კვლევის მეთოდი არის ვიზუალური ინფორმაციის სემიოტიკური ანალიზი, ამიტომ აუცილებელია, რომ სემიოტიკის განმარტებაც მოვიშველიოთ. სემიოტიკის შესწავლის საგანი არის ნიშანთა სისტემები. სემიოტიკის მეშვეობით შეგვიძლია გარკვეული ცნებების, რწმენების, იდეოლოგიების - როგორც ნიშნების განხილვა კულტურაში. რადგან სემიოტიკა დაფარული მნიშვნელობების ამოცნობაში გვეხმარება, ჩვენი აზრით, რელევანტური იქნება მისი გამოყენება ფოტომანიპულაციების გამოვლენის დროსაც.

თეორიულ ჩარჩოდ ვიყენებთ როლანდ ბარტის კონოტაციების შექმნის ექვს ხერხს. ბარტისეული ექვსი ხერხი ფრანგმა სემიოლოგმა ფოტოს მნიშვნელობის დეტალური ანალიზის მიზნით ჩამოაყალიბა და რომელთა მეშვეობითაც ხდება კონოტაციების წარმოშობა. პირველი სამი ხერხით კოდირებული ფოტოები ძირითადად ახლავს ახალ ამბებს (ნიუსებს), ხოლო მომდევნო სამი ხერხი უფრო სარეკლამო ხასიათისაა. წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია ბარტისეული მიდგომის ექვსივე ხერხი, რადგან ვიზუალური მასალის ანალიზის დროს მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რა არის დენოტირებული ფოტოში და რა კონოტაციები აქვს მას, ასევე გასათვალისწინებელია ფოტოს გადაღების მანერა და მისი კონტექსტი.

განცორხიელდა მიზნობრივი შერჩევა, რომელიც ეფუძნება ჩვენს სუბიექტურ შეხედულებას. ფოტოების ლამის უმრავლესობა გამოყენებულია პორტალ stopfake.org-დან.

კვლევის შედეგები

ახლა კი გადავიდეთ უშუალოდ ფოტოებისა და კარიკატურების ანალიზზე, რომლებიც უნდა განვიხილოთ კონოტაციური სემიოტიკის მეთოდით.



ერთ-ერთი ბრიტანული ინტერნეტგამოცემა “Marxist” 2014 წლის 3 მარტს აქვეყნებს სტატიას: “რუსეთი, უკრაინა და დასავლეთი: დაიწყება ომი?”. ამ სათაურს ერთვის ზემოთ მოყვანილი კარიკატურა, რომელზეც ვხედავთ, როგორ ცდილობენ კარიკატურის პერსონაჟები, მიიტაცონ უკრაინის ტერიტორია. როგორც ყოველთვის, რუსეთი აგრესიული დათვია, ევროკავშირისა და ამერიკის სიმბოლოებად წარმოდგენილი ფიგურები კი ცდილობენ, რუსეთის აგრესიული მარწუხებიდან დაიხსნან უკრაინა, კერძოდ, ყირიმი. რა თქმა უნდა, ტექსტი ავსებს ამ ვიზუალურ გამოსახულებას და მიყვარათ მის კონოტაციურ მნიშვნელობამდე. ინტერნეტგამოცემაში კარიკატურაზე მოცემული სტატია, გვაუწყებს, რომ 100 წლისთავი სრულდება პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან და ჩნდება საფუძვლიანი კითხვები, შეიძლება თუ არა, რომ რუსეთისა და უკრაინის ომი მესამე მსოფლიო ომის დაწყების მიზეზი გახდეს. კარიკატურა ფერების დიდი კონტრასტიტაც გამოირჩევა, თუმცა აქ ფერები გამოიყენება პოლიტიკურ მოთამაშეთა საიდენტიფიკაციოდ. კარიკატურაზე გამოსახული თითოეული პოლიტიკური აქტორი საკუთარი ქვეყნის ან გაერთიანების დროშის ფერებითაა წარმოდგენილი, კერძოდ კი - ამერიკისა და ევროკავშირის დროშების ფერებში. ამერიკელმა ფსიქოლოგმა, პოლ ეკმანმა, სახის 7 უნივერსალური გამომეტყველება გამოყო. ამ კარიკატურაზე შეგვიძლია ამოვიცნოთ ორი მათგანი: შიში და სიბრაზე. შიში იკითხება ევროკავშირისა და ამერიკის სიმბოლოდ მოხმობილი პერსონაჟების სახეზე, სიბრაზე კი - რუსულ დათვის მორევია. ვფიქრობთ, რომ ეს კარიკატურა მისი შემქმნელის სუბიექტურ აზრს გამოხატავს ამ კონკრეტულ თემასთან დაკავშირებით. იგი აშკარად მიგვანიშნებს, რომ მოვლენები როგორც არ უნდა ვითარდებოდეს, რუსეთი მაინც ერთ-ერთი ჰეგემონი სახელმწიფოა და მისი ხისტი ძალა აფრთხობს ა.შ.შ-სა და ევროკავშირს. „ხრიკების ეფექტით“ შექმნილი კარიკატურის კონოტაციურ მნიშვნელობას უთუოდ აძლიერებს მედიის ე.წ. მეტაენაც. ინტერნეტგამოცემა “Marxist”, სათაურიდან გამომდინარე, მემარცხენე ორიენტაციისაა და შესაბამისად, მისი დამოკიდებულება მოცემული თემის მიმართ აშკარად ამ იდეოლოგიის ჭრილში უნდა დავინახოთ.



რუსული მედია უკრაინის წინააღმდეგ მანიპულაციურ ომში არ ერიდება ბავშვების ჩართვასაც კი. „ნოვოროსიას“ თვითერის გვერდზე, რომელიც კრემლის ტროლია და ჰყავს რამდენიმე ათასი მიმდევარი, გამოჩნდა ზემოთ მოტანილი პირველი ფოტო. ბავშვის დანახვისას ყველას გულწრფელობის განცდა უჩნდება, რადგან ბავშვი ყოველთვის გულწრფელობის სიმბოლოდ აღიქმება. დროშის ფერებიც მიუთითებს, რომ უკრაინაზეა საუბარი და ლოგიკურად, შეგვიძლია პირველი ფოტოდან დავასკვნათ, რომ გოგონა უკრაინელია და მიუხედავად მცირეწლოვნებისა, აცხადებს - „მე მსურს ომი“. სინამდვილეში, ეს სურათი რუსეთის მიერ გამოყენებული მორიგი ბინძური ფოტომანიპულაციაა. აღნიშნული ფაბრიკაცია წარმოადგენს ფოტოშოპით დამუშავებულ ფოტოს, რომლის ორიგინალს სინამდვილეში ჰქონდა წარწერა: „მე არ მსურს ომი“. მოცემული ნიმუში აშკარად „ფოტოფეიკა“. მისი კონოტაცია დენოტაციურადაა გამჟღავნებული და უკრაინის ომისმოსურნე და ძალადობრივ პოლიტიკაზე აკეთებს აქცენტს მაშინ, როცა ფოტოს ორიგინალი ღია პაციფისტურ გზავნილს შეიცავს.



ყალბი ინფორმაციის ვიზუალური მანიპულაციის გზით გავრცელების ნიმუშები მრავლად გვხვდება ტრადიციულ და სოციალურ მედიაში. მოვიხმობთ კიდევ ერთ მაგალითს, რომლითაც აშკარა ხდება რუსეთის მცდელობა, მოახდინოს უკრაინული მხარის დისკრედიტაცია და დაარწმუნოს აუდიტორია საკუთარ სიმართლეში. 2014 წლის 2 ივლისს უკრაინაში გავრცელდა ერთ-ერთი აქციის ვიდეო, რომელშიც რაიონის მოსახლეობა უკანონო მშენებლობას

აპროტესტებდა. რამდენიმე დღეში კი იმავე აქციიდან ფოტო გავრცელდა რუსული ტროლის მიერ ერთ-ერთ სოციალურ ქსელში, თვითერზე, წარწერით: „გუმინ კიევი რუსული წიგნები დაწვეს“. ფოტოზე ჩანს მოცინარი ბავშვი, რომელიც ბედნიერია ამ ფაქტით. ეს მცდელობა აშკარად გამოხატავს ავტორის მიზანს, გვაჩვენოს უკრაინელთა ნეგატიური დამოკიდებულება არა მხოლოდ რუსული შეიარაღებული ძალებისა და პოლიტიკისადმი, არამედ კულტურის მიმართაც. როგორც ვიცით, ბავშვი სიწრფელესთან და სიმართლესთან ასოცირდება და შესაბამისად, ამ კონოტაციური დატვირთვით ავტორი ცდილობს კიდევ უფრო გაამყაროს საკუთარი პოზიცია.

რუსული მედია საშუალებები ძალიან ხშირად იყენებენ ბავშვის ფოტოს, როგორც ფოტომანიპულაციის იარაღს, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბავშვები გულწრფელობასთან ასოცირდებიან. როდესაც ბავშვს შეემთხვევა რამე, ყველა უფრო მძაფრად და მწვავედ აღიქვამს პრობლემას. ამის ნათელი მაგალითებია შემდეგი ფოტომანიპულაციებიც, რომლითაც რუსულ სოციალურ მედიას სურს, რომ გავლენა მოახდინოს მის სამიზნე აუდიტორიაზე, შეცდომაში შეიყვანოს ისინი და ნეგატიურად განაწყოს უკრაინის მიმართ. თვითერზე გამოჩნდა ტროლი, რომელმაც გამოიყენა ატირებული ბავშვის ფოტო, რომელიც გარდაცვლილი ქალის წინ დგას. როგორც კი ადამიანი ამ ფოტოს შეხედავს, იფიქრებს, რომ ეს ქალბატონი მისი ახლო ნათესავია, მისი დასვრილი სხეული და ხელმოკლე ტანსაცმელი მიუთითებს, რომ ქვეყანაში რთული პოლიტიკური ვითარებაა, ადამიანები იხოცებიან და ბავშვებს მეურვე არ ჰყავთ, გოგონას მშველელად მხოლოდ სათამაშო დარჩენია, რომელიც ატირებულს გულში მთელი ძალით ჩაუკრავს. ფოტოს მნიშვნელობას კიდევ უფრო ამძაფრებს წარწერა, რომელიც ამ ფოტოს ახლავს თან: „ეს არის დემოკრატია, ბავშვო. უკრაინული არმია ხოცავს დონბასის მოსახლეობას“. ფოტოსა და წარწერას თან ახლავს ჰეშთეგი, რომელიც პერმანენტულად ვრცელდება რუსული სოციალური მედიის მიერ, ამის რამდენიმე მაგალითი უკვე გვაქვს განხილული ნაშრომში: „SaveDonbassPeople“. სინამდვილეში ეს ფოტო ფილმიდან არის გადმოღებული და რეალურ ამბავს საერთოდ არ შეესაბამება. ფოტო გადმოღებულია ფილმ „ბრესტის ციხესიმაგრედან“. ფილმი ეხება ბრესტის ციხესიმაგრის გმირულ დაცემას მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც გერმანელი ჯარისკაცები 1941 წლის 22 ივნისს დაესხნენ თავს. ფილმი 2010 წელს არის გადაღებული, ფოტომანიპულაცია კი 2011 წელს ჩნდება.



ბავშვების ფოტომანიპულაციის იარაღად გამოყენების მაგალითები უხვად არსებობს რუსულ სოციალურ მედიაში. ამის კიდევ ერთი მაგალითია შემდეგი ფოტოც. რუსული მედია აქტიურად ადანაშაულებს უკრაინულ არმიას და ამისთვის იყენებს ფოტოებს, რომლებზეც აღბეჭდილნი არიან გარდაცვლილი ადამიანები. რუსულმა ტროლმა გამოიყენა გარდაცვლილი ბავშვის ფოტო, რომელსაც მშობელი დასტირის და მიუთითა, რომ ბავშვები ტერორისტები არ არიან და რომ უკრაინის არმია დანაშაულს სჩადის, რომ ერჩის უცოდველ ბავშვებს. ზედ აქვს დართული ჩვენთვის ნაცნობი ჰეშთეგები: “stopukrainianarmy”, “savedonbasspeople”. რეალურად კი ბავშვი 2010 წელს გარდაიცვალა, ყირიმში, იგი მენტალურად ავადმყოფმა ადამიანმა გამოსასალმა სიცოცხლეს და ამ ამბავს დონბასთან, ან უკრაინულ ჯართან შეხება საერთოდ არ აქვს, თუმცა ტროლებმა იციან, რომ მსგავსი მგრძობიარე ფოტოები ძალიან მოქმედებს ადამიანებზე და სწორედ ამ მიზნით იყენებს მათ.

THIS IS NOT DONBASS, UKRAINE

IT'S CRIMEA, 2010



ფოტოგრაფია ძალიან მძლავრი იარაღია, რომ ადამიანი შეცდომაში შეიყვანო. ფოტოგრაფები ხელოვანები არიან, რომლებიც სამყაროს სხვადასხვანაირად გვიჩვენებენ. სწორედ მათზე და ჩვენს აღქმაზე დამოკიდებული, როგორ დავინახავთ ფოტოს და რა მნიშვნელობას დავინახავთ მასში. დიდი ზეგავლენა აქვს იმასაც, თუ რა შინაარსით არის ფოტო წარმოჩენილი. შეიძლება იგი ფაქტობრივად რაიმე დადებით მოვლენას ასახავდეს, მაგრამ როდესაც სოციალური მედია პირდაპირ მიუთითებს ადამიანებს ფოტოების შინაარსზე, ამან შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს ადამიანი და სხვა კონტექსტით დაანახოს იგი. ამისი ნათელი მაგალითია შემდეგი ფოტომანიპულაცია, რომელიც რუსულმა ტროლმა გამოიყენა თავის სასიკეთოდ. რუსული ტროლის მიერ გავრცელდა სოციალურ ქსელში ფოტო, რომლის თანახმადაც ფოტოზე ასახული ბავშვი უკრაინული არმიის მსხვერპლია, რომ დონბასში კრიმინალური რეჟიმის გაბატონებული და დროა დონბასის მაცხოვრებლები დაიცვან უკრაინული არმიის აგრესიისგან, ტრადიციულად თან ახლავს ჰეშთეგი: “savedonbasspeople”. როდესაც ადამიანი შეხედავს ამ ფოტოს, მართლაც შესაძლებელია, რომ გაუჩნდეს განცდა, რომ ბავშვი კრიმინალური რეჟიმის მსხვერპლია, ის მოწყენილია, დარდიანი, ჭუჭყიანი, ტალახში ამოგლანგნულია, რაც ადამიანს აფიქრებინებს, რომ რამე შეემთხვა. სინამდვილეში ეს ბავშვი ძალიან ლაღად, ბედნიერად ცხოვრობს. ის ავსტრალიელია, ძალიან უყვარს თავისი ძალი და ტალახში ამოგლანგვლა. სინამდვილეში ეს ფოტო ეკუთვნის ქეთრინ ატკინს, მისმა ფოტომ 2010 წელს ჩრდილოეთ მწყემსთა ასოციაციის

ფოტო-კონკურსში გაიმარჯვა და ფოტოზე გამოსახული გოგონაც მისი შვილია. სევდიან განწყობას რაც შეეხება, უბრალოდ რაიმემ შეაწუხა და სულაც არ ნიშნავს ეს იმას, რომ რამე ნეგატიური უნდა მომხდარიყო მის თავს.



რუსულ სოციალურ მედიაში ვრცელდება ფოტო, რომელიც ქალაქ გორში, საქართველო-რუსეთის ომის დროსაა გადაღებული. თუმცა, მედია ამ ფოტოს კვლავ თავის სასარგებლოდ იყენებს და მას ერთგვარი ჰემთეგებით ასათაურებს: „stopukrainearmy“; “savepeopledonbass” და “savechildrendonbass”.

THIS IS NOT DONBASS, UKRAINE IT'S RUSSIA'S BOMBING OF GEORGIA



ამ ხერხს რუსული მედია მიმართავს სხვა შემთხვევაშიც. მაგალითად, ის იყენებს ჩეჩნეთის ომის ამსახველ ფოტოს დონბასის კონფლიქტის აღსაწერად და თუ სტატიას დავაკვირდებით, იმავე ხასიათის „ჰემთეგებს“ აქვეყნებს: „savedonbaspeoplefromukrarmy“. სინამდვილეში კი ეს ფოტო, როგორც ზემოთ ვახსენეთ, ჩეჩნეთის პირველი ომის დროინდელია (მე-20 საუკუნის 90-იანი წლების). ერთ-ერთი ფოტომასალა, რომელშიც მსგავსი ნარატივი დომინირებს, საერთოდაც

კოტიჯუარში, სამხრეთ აფრიკაშია გადაღებული, თუმცა მას რუსული ტროლები თავიანთ სასარგებლოდ წარმატებით იყენებენ.

THIS IS NOT DONBASS, UKRAINE

IT'S CHECHNYA

Артур Мортон
@morton_art

#savedonbaspeoplefromukrarmy

Reply Retweet Favorite More

The first Chechen war in the photo of Alexander Nemenova
We present to you release photo of Alexander Nemenova of the First Chechen War and the history of the conflict.
(Note: In this post are photographs that may seem repulsive or frightening)



Photograph of a burning tank, alleged to have been taken in Donbass, Ukraine in 2014 was actually a 2011 photo of a burning tank in Côte d'Ivoire.

THIS IS NOT DONBASS, UKRAINE

IT'S COTE D'IVOIRE IN 2011



ტანკების სერია რომ გავაგრძელოთ, შეგვიძლია სხვა მაგალითი მოვიყვანოთ, როგორ გამოიყენო სრულიად სხვა ქვეყანაში გადაღებული ფოტო და მომხდარი მოვლენა რუსულმა მედიამ თავის სასარგებლოდ. ფოტო რეალურად გადაღებულია ჩინეთში, მაგრამ რუსული მედია ირწმუნება, რომ ეს ტანკი აფეთქდა დონბასის ტერიტორიაზე. ფოტო ნამდვილად არ შეიცავს რაიმე შემარბრუნებელ ვიზუალურ ელემენტებს, მაგრამ როდესაც რამე იწვის, ცეცხლი ჩანს, ადამიანს მაინც უარყოფითი დამოკიდებულება უჩნდება და მის ცნობიერებაში ნეგატიური დამოკიდებულებები იღექება უკრაინის მიმართ.

THIS IS NOT DONBASS, UKRAINE

IT'S CHINA




ზუსტად ანალოგიური შემთხვევას ასახავს ჩვენი შემდეგი ფოტოც. ფოტოს რომ შეხედავს ადამიანი, რბილად რომ ვთქვათ მაშინვე უარყოფითი დამოკიდებულება გაუჩნება ფორმიანი ადამიანების მიმართ, სულ რომ არ წაიკითხოს ზედ დართული „ჰეშთეგი“. ჯარისკაცი გამეტებით ურტყამს დაუცველ, უარალო ადამიანს, როცა თვითონ შეიარაღებული და დაცულია. გამოყენებულია ჰეშთეგი „savedonbassfromukrainearmy“, რომელიც სიმართლეს საერთოდ არ შეესაბამება. სინამდვილეში ეს ფოტო ბოსნიაშია გადაღებული და საერთოდ არ უკავშირდება უკრაინასა და უკრაინელებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საომარი მოქმედებები ყველაზე პოპულარულია ფოტომანიპულაციების გამოსაყენებლად, რადგან ადამიანების მოტყუება მსგავსი ფოტოებით, რომლებზეც საომარი მოქმედებებია ასახული, შედარებით მარტივია.

THIS IS NOT DONBASS, UKRAINE

IT'S BOSNIA



გავრცელებული პრაქტიკაა, რომ არჩევნების დროს ტელევიზიები ცრუობენ, ნათლად გამოხატავენ თავიანთ პოლიტიკურ ორიენტაციების იმის მიხედვით, თუ ვის უჭერენ მხარს და როგორ აყალბებენ საარჩევნო მონაცემებს. ამ შემთხვევაში არც რუსული მედია აღმოჩნდა გამონაკლისი, რომელიც სრულიად სხვაგვარად, თავისი ინტერესების გათვალისწინებით წარმოაჩენს საარჩევნო ხმების რაოდენობას. 2014 წელს უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში სხვა კანდიდატებთან ერთად კენჭს იყრიდნენ დიმიტრი იაროში და პეტრო პოროშენკო. რუსული მედია არჩევნების დასრულებისას იუწყებოდა, რომ „მარჯვენა სექტორის“ ლიდერი, დიმიტრი იაროში, ხმების რაოდენობით ლიდერობდა, ამომრჩევლების 37.13% მას უჭერდა მხარს. სინამდვილეში კი პეტრო პოროშენკო იკავებდა მოწინავე პოზიციებს, ამომრჩევლთა 55.9% ხმა მას ეკუთვნოდა, დიმიტრი იაროშს კი მხოლოდ 0.9%.



რუსული სოციალური მედია პერმამენტულად აქვეყნებს ისეთ ფოტო მანიპულაციებსა და ვიზუალურ ინფორმაციას, რომელიც დეზინფორმაციას შეიცავს. ზოგჯერ ფოტომანიპულაციებს ისეთი ტექსტები ახლავს თან, რომელიც ფოტოდან მიღებულ ინფორმაციას კიდევ უფრო მეტად აბუქებს. ამის ნათელი მაგალითია შემდეგი ფოტო. რუსულმა მედია საშუალებებმა გამოიყენეს ლტოლვილი კოსოვოელი ადამიანების ფოტოები, რომლებიც გაასაღეს თითქოს ისინი უკრაინელები იყვნენ და ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე რუსეთში გაქცევას ლამობდნენ. მსგავსი ფოტოები ხშირად შეიძლება იყოს გამოყენებული ფოტომანიპულაციის საშუალებად, რადგან სახეები კარგად არ ჩანს, მით უმეტეს, დაუკვირვებელი და შეუიარაღებელი, არაკომპეტენტური თვალთ ადამიანი ვერ მიხვდება სხვის ეთნიკურ წარმომავლობას. ფოტოს უკანა ფონიც ბევრს არაფერს არ გვეუბნება, ფაქტობრივად მხოლოდ ბუნება ჩანს, ისიც ბუნდოვნად.



დასკვნა

ამრიგად, ზემოთ მოხმობილი ნიმუშების დენოტაციურ-კონოტაციური ანალიზისას წარმოჩენილმა თავისებურებებმა დაგვარწმუნა ვიზუალური გზავნილების ძლიერ მანიპულაციურ შესაძლებლობაში. კონკრეტული ნიმუშების სემიოტიკური ანალიზით გაცხადდა ნაშრომის დასაწყისში ნავარაუდები თვალსაზრისი, რომ რუსული მედიასაშუალებები აქტიურად და მიზანმიმართულად იყენებენ ფოტოს, როგორც მანიპულაციის ეფექტურ საშუალებას, უკრაინის წინააღმდეგ საინფორმაციო ომში, რაც მიზნად აუდიტორიაზე ზემოქმედებისა და მისი შეცდომაში შეყვანის ამოცანას ისახავს.

ჩვენ მიერ შერჩეული მაგალითების განხილვის შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი ვითარება: ინფორმაციის ვიზუალიზების საშუალებებიდან უმეტესად ფოტოსა და კარიკატურის გამოყენების შემთხვევები და კრემლის პოლიტიკური მიზანდასახულობით შექმნილი ნაყალბევი ახალი ამბების სოციალური მედიით პერმანენტული გავრცელების ტენდენცია.

ბიბლიოგრაფია

ბარტი, რ. (2011). *მითოლოგიები*. თბილისი: აგორა.

ბერეკაშვილი, თ. (2010). *ნიშანი და სიმბოლო. სემიოტიკა*.

კოუბრე, კ. (2005). *ფოტოჟურნალისტიკა: პროფესიული მიდგომა*. თბილისი: დიოგენე.

მაჭარაშვილი, თ. (2018). ინფორმაციის ვიზუალიზების ტენდენცია თანამედროვე ქართულ ბეჭდვით მედიაში - 2012-2014 წლების გამოცდილება. თბილისი. თსუ-ში დაცული სადოქტორო ნაშრომი.

როგორ მუშაობს რუსული პროპაგანდა. 22.07.2016

<https://www.mediachecker.ge/ka/analizi/article/47606-rogor-mushaobs-rusuli-propaganda>

Alan Woods, 03.03.2014, Russia, Ukraine and the West: Will there be war?

<https://www.marxist.com/russia-ukraine-and-the-west-will-there-be-war.htm>

Julia Davis, 10.07.2014, Russia's top lies about Ukraine. Part 1

<https://www.stopfake.org/en/russia-s-top-lies-about-ukraine-part-1/>

Julia Davis, 10.07.2014, Russia's top lies about Ukraine. Part 2

<https://www.stopfake.org/en/russia-s-top-lies-about-ukraine-part-2/>

რუსეთის 200 ყველაზე გავრცელებული ტყუილი, 19.01.2016

<https://www.mythdetector.ge/ka/myth/rusetis-200-qvelaze-gavrtsebuli-tquili-0>

Julia Davis, 10.07.2014, Russia's top lies about Ukraine. Part 3

<https://www.stopfake.org/en/russia-s-top-lies-about-ukraine-part-3/>

Julia Davis, 12.08.2014, Russia's top 100 lies about Ukraine

https://www.stopfake.org/en/russia-s-top-100-lies-about-ukraine/?fbclid=IwAR08V2AB3XhbfCxyZSKvC2ruNW6qskN7NQjvdJhJ2VULISQjB_GkuQhtVc



შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დედების სოციალური პროფილი

ავთანდილ დოლიძე
ლელა ჯავახიშვილი

სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: L.javakhishvili@css.ge

dolidzeavto9@gmail.com

აბსტრაქტი

ათწლეულების მანძილზე, საქართველოში, ერთ-ერთ პრობლემას შშმ პირთა სოციალიზაცია და გარემოსთან შეგუება წარმოადგენდა, თუმცა ამის აღიარება, ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ ხდებოდა და გარშემო არსებულ აგრესიაზე პასუხი, მათი საზოგადოებისაგან განრიდება იყო. დროის სვლასთან ერთად, სოციუმში პრიორიტეტების გადახედვა და ცხოვრების თანამედროვე სტანდარტების ცვლილებამ განაპირობა ის, რომ ამ საკითხზე საუბარი პოლიტიკურ, თუ სოციალურ დონეზე დღის წესრიგში დგას. მიუხედავად იმისა, რომ დღეისთვის, შშმ პირთა საკითხებზე არაერთი მკვლევარი მუშაობს, თუ სიახლე შექმდება, მაინც რჩება შრეები, რომლებიც უფრო ყურადღებით შესწავლას საჭიროებს და საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ ბოლომდე ცნობილი არაა. ერთ-ერთ ასეთს შშმ პირთა მშობლების, კონკრეტულად კი, დედების სოციალური პროფილი წარმოადგენს, რომელიც ამ კვლევის ცენტრალურ თემატიკად სწორედ იმის გამო იქცა, რომ ქვეყნდება ანალიტიკური ანგარიშები, თუ სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც უმეტესად შშმ პირებზე სვამს აქცენტს, რაც უკვე ერთგვარი წინსვლაა. მიუხედავად ამისა, ყურადღების მიღმა რჩებიან ის აქტორები, რომლებიც, მათთან ერთად ცდილობენ პრობლემებს გაუმკლავდნენ. ის, რომ შშმ პირებს საქართველოში არაერთი პრობლემა ექმნებათ, ცხადია, მათი დედების ფსიქო-სოციალურ მდგომარეობაზეც აისახება, ეს კი ვითარებას უფრო მეტად ამძიმებს. მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილი იქნება შეზღუდული პირებთა დედების სოციალური პროფილი, რისი შესწავლაც თვისებრივი კვლევის, კონკრეტულად კი ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუს ჩატარების პირობებში მოხერხდა.

საკვანძო სიტყვები: შშმ პირი, სოციალური პროფილი, სოციალიზაცია, ფსიქოლოგიური დატვირთვა, ფიზიკური დატვირთვა, სოციალური სერვისები, საგანმანათლებლო სერვისები, ინფრასტრუქტურა.

შესავალი

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცხოვრება საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში ტაბუირებული იყო. პრობლემას სისტემური ხასიათი ჰქონდა და ზეწოლა ხორციელდებოდა, როგორც შშმ პირებზე, ისე მათ მშობლებზე, რომელთაც, საზოგადოებრივი სტრესის გამო, შვილების დამალვა და სოციალური ცხოვრებიდან მოწყვეტა უწევდათ.

დროის სვლასთან ერთად, შეიცვალა შშმ პირთა მიმართ დამოკიდებულება, მაგრამ პრობლემა სრულყოფილად არ არის აღმოფხვრილი. ჯერ კიდევ გვხვდებიან ისინი, ვინც ვერ შეძლო ამ თემაზე ხმამაღლა საუბარი და სოციალიზაცია.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2015 წლის 1 იანვრის მონაცემებით, შშმ პირთა საერთო რაოდენობა 118 651-ია, რაც ქვეყნის მოსახლეობის 3%-ს შეადგენს. აღნიშნული რიცხვი, საბოლოო მაჩვენებელს არ წარმოადგენს და მხოლოდ იმ პირებს მოიცავს, რომლებიც ოფიციალურად რეგისტრირდებიან სოციალური დახმარების მიმღებ სუბიექტებად.

სახელმწიფო შშმ პირებს არაერთ სერვისს სთავაზობს, თუმცა ზოგიერთი მათგანის გამოყენება სრულყოფილად ჯერ კიდევ ვერ ხერხდება. კანონით გათვალისწინებული ნორმით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთათვის უნდა არსებობდეს ადაპტირებული გარემო პირობები, რომლებშიც, პირველ რიგში, გადასაადგილებელი საშუალებები მოიაზრება. ეს უკანასკნელი,

ძირითადად დედაქალაქშია კონცენტრირებული, თუმცა არა იმდენად გამართულად, რომ შშმ პირებმა დამოუკიდებლად შეძლონ გადაადგილება. მაგალითად, სპეციალური პანდუსები, რომლებიც ეტლით მოსარგებლეთათვის არის განკუთვნილი, ძირითად შემთხვევებში ბუტაფორიულია. ბოლო თვეების განმავლობაში, ქალაქში გაჩნდა ახალი ავტობუსები, რომლებიც, წესით, უნდა უზრუნველყოფდნენ შშმ პირთა უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას, მაგრამ ამას აფერხებს მუდმივად გადავსებული სივრცე, რომელშიც ეტლით მოსარგებლეთათვის იშვიათად გამოიძებნება ადგილი. ეს და მსგავსი პრობლემები შშმ პირთა სხვა კატეგორიებსაც აწუხებთ, რასაც განათლების მიღებასთან, ეკონომიკურ უზრუნველყოფასთან, სამედიცინო სერვისებთან და სოციალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემები ემატება. საკითხი დაიყვანება არა მხოლოდ, უშუალოდ შშმ პირებამდე, არამედ მათ მშობლებამდეც, რადგანაც გამოწვევების წინაშე, ისინი ერთად დგანან. მშობლები სრულად ინაწილებენ მთელ რიგ პასუხისმგებლობებს, რა დროსაც განსაკუთრებულ როლს, ძირითად შემთხვევებში დედები ასრულებენ. ამას მოწმობს, ჩვენ გარშემო განვითარებული მოვლენები, შშმ პირთა დედების შიმშილობის ფაქტთან დაკავშირებით. ისინი ფსიქიატრიული განყოფილებების დახურვის გადაწყვეტილებას აპროტესტებდნენ და ხელისუფლებას უყურადღებობაში ადანაშაულებდნენ.

მაშინ, როცა მამები ძირითადად ეკონომიკური უზრუნველყოფის საკითხზე არიან ორიენტირებულნი, დედები ზრუნავენ შშმ პირთა ადაპტაციაზე, სოციალიზაციაზე, ჯანმრთელობაზე, აღზრდასა და ყველა იმ პირობის დაკმაყოფილებაზე, რასაც მათი შვილები საჭიროებენ. ერთ - ერთი ყველაზე აქტიური და შეიძლება ითქვას პირველი დედა, რომელიც საჯაროდ ალაპარაკდა თავისი შვილის პრობლემებსა და საჭიროებებზე, ინგა სარჯველაძე იყო. მან საფუძველი ჩაუყარა ახალ სოციალურ კამპანიას, რომელსაც შემდგომში არაერთი დედა შეუერთდა, რასაც „საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციის“ დაფუძნება მოჰყვა (საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაცია, 2017).

მიუხედავად იმისა, რომ არსებობენ საკითხის შესახებ თამამად მოსაუბრე მშობლები, სიღრმისეულად თითქმის შეუსწავლელია მათი სოციალური პროფილი და ის რთული გზა, რომელიც შვილების აღზრდისას გაიარეს.

ლიტერატურის მიმოხილვა

როგორც დასაწყისშივე აღინიშნა, შშმ პირთა თემატიკაზე უამრავი კვლევა ტარდება, თუმცა, სახელმწიფოში ჯერ კიდევ არ არსებობს ბერკეტი, რომლითაც სულ მცირე მათი რაოდენობა იქნება განსაზღვრული. არსებობს მხოლოდ მიახლოებითი სტატისტიკა, რომელიც საყოველთაო აღწერის შედეგებს, სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემებსა და სოციალური დახმარების მიმღებ შშმ პირების ბაზას ეყრდნობა. აქ ჩამოთვლილის მიხედვით, 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში შშმ პირთა რაოდენობა 100113-ს შეადგენს, ხოლო სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, 2015 წელს ამ მხრივ სოციალური დახმარების მიმღებთა რიცხვი 118651-ს არ აღემატებოდა, რაც 2017 წელს 125104-მდე გაიზარდა (IDFI, 2018).

არაერთი კვლევა ცხადყოფს, რომ შშმ პირთა გარემო საქართველოში არაჯანსაღია და ჯერ კიდევ სავსეა დისკრიმინაციული განწყობებით, რასაც ემატება მათი მშობლებისადმი მტრული დამოკიდებულება სხვადასხვა გარემოში. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ 2016 წელს ჩატარებულ კვლევაში ვკითხულობთ, რომ მაგალითად, სამედიცინო პერსონალი, შშმ პირთა მშობლების სტიგმატიზაციის ერთ-ერთი მთავარი წყაროა, რადგან, ხშირად, ისინი არასაკმარის, არასათანადო და მცდარ ინფორმაციას აწვდიან. ამავე კვლევის მიხედვით, შშმ მოზარდთა სოციალური გარემოსაგან გარიყვამ ხშირად მშობლების სტრესული გამოცდილებითაა ნაკარნახევი (ISSA, 2016).

თანამედროვე საზოგადოებაში, დედები, შვილებზე ზრუნვის მთავარ ობიექტად ჯერ კიდევ აღიქმებიან. სხვადასხვა ქვეყანაში, მათი პროცენტული წილი, ვისაც ოჯახსა და შვილებზე ზრუნვა საკუთარ თავზე აქვს აღებული, 57-დან 81%-მდე მერყეობს. სწორედ ამ მიზეზით, საინტერესოა, თუ რა ტენდენცია ვლინდება შშმ პირების დედებთან მიმართებით. როგორც აღმოჩნდა, მენტალური ჯანმრთელობის პრობლემის მქონეთა შესწავლილი შემთხვევებიდან, უმეტეს მათგანში, ზრუნვა საკუთარ თავზე დედებს ჰქონდათ აღებული, მხოლოდ რამდენიმე კერძო შემთხვევა დაფიქსირდა, როცა ორივე მშობელი ერთად ინაწილებდა ამ პასუხისმგებლობას (Sharma, Chakrabarti & Grover, 2016). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შშმ პირთა დედები ხშირად „გადაწვის“ პრობლემის წინაშეც დგანან, რადგან, მკვლევრების დასკვნით, ისინი ერთი მხრივ, განუსაზღვრელად განგრძობით პროცესში არიან ჩართულნი, ხოლო მეორე მხრივ, მათი შვილებისთვის უმეტეს შემთხვევაში დამახასიათებელია პრობლემის ისეთი ფიზიოლოგიური გამოვლინებები, რომლებიც არა მხოლოდ ემოციურ, არამედ ფიზიკურ გადაღლას იწვევს. სწორედ ამ მიზეზით, პოლონეთის უნივერსიტეტის ფსიქოლოგები, კვლევის საფუძველზე, გასცემენ რეკომენდაციას, შშმ პირების დედებისთვის სპეციდიკური მხარდაჭერის აღმოჩენის შესახებ როგორც სახელმწიფო ინსტიტუტების, ისე სოციუმის მხრიდან (Sadziak, Wiliński & Wiczorek, 2019).

იდენტური საკითხის დასავლური კვლევის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ დედებისთვის, შშმ შვილების დაბადების პირველი ფსიქოლოგიური სტრესი მოაქვს ფაქტის აღიარებას, რომ ბავშვები მათი გამოცდილების გამზიარებლები და გამგრძელებლები კი არა, ცხოვრების განსხვავებული წესის შემომტანნი იქნებიან. კვლევის შედეგად ასკვნიან, რომ ეს პირველადი განცდა ხშირად დედების იმედგაცრუებასაც იწვევს, მაგრამ იმის გაცნობიერება, რომ მზრუნველობის მთავარი ბერკეტის აღება სწორედ მათ ერთგვარ მოვალეობად აღიქმევა, თავდაპირველად გაჩენილი შეგრძნებები გადაიზრდება იმაზე ფიქრში, თუ როგორ შეიძლება ამ სიახლესთან გამკლავება ისე, რომ შვილი ჯანსაღ გარემოში აღიზარდოს. უკვე სწორედ ამ ეტაპზე, დედები ცდილობენ გააძლიერონ ემოციური ბმა შშმ შვილებთან, აგრძობინონ მათ სიყვარული, თუ მზრუნველობა და მათთან კომუნიკაციის საუკეთესო სტრატეგიები დასახონ. საწყის ეტაპზე გაჩენილი სირთულეების დაძლევისთანავე, შშმ პირთა დედებს უჩნდებათ განცდა და სურვილი, რომ თავიანთ შვილებს თავი უსაფრთხოდ აგრძობინონ, რადგან წინასწარ პროგნოზირებენ იმ სირთულეებსა თუ საფრთხეებს, რაც საზოგადოების რეაქციებით შეიძლება იყოს გამოწვეული (Barbosa, Chaud & Gomes, 2007).

შვილისთვის უსაფრთხოების შეგრძნების უზრუნველსაყოფად მუდმივი ბრძოლა, შშმ პირთა დედებს ემოციურად უფრო მწვავედ უყენებს იმგვარ საკითხებს, რომლებიც ზოგადად დედებისთვის საერთაა

ხოლმე. მაგალითად, ერთ-ერთი დაშვების მიხედვით, დედებისთვის განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს გარკვეულ ასაკს მიღწეული შვილების „გაშვება“, ე.ი. ნების დართვა დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყებად, რაც შშმ პირთა დედების შემთხვევაში კიდევ უფრო რთული და სისტემური პრობლემა ხდება. ამას ხელს უშლის ერთი მხრივ, გარემო პირობები (მაგ. ინფრასტრუქტურა), სოციუმის აზრი და რეაქციები, ხოლო მეორე მხრივ ის, რომ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობების ისეთი სპექტრი, რომელიც გარეშე პირის მუდმივ ჩართულობას საჭიროებს, ასეთად კი, ხშირად დედები მოიაზრებიან. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც გადაადგილებისა, თუ დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობა იმდენად დიდ პრობლემას არ წარმოადგენს, თვითგამორკვევის პროცესში, დედები აღიარებენ, რომ მათთვის შშმ შვილის გაშვება ისეთ სივრცეებში, რომლებიც მათი თვალთახედვის არეში არ ექცევა, შიშის ერთ-ერთ მთავარ ობიექტს წარმოადგენს (Zibricky, 2014).

დასასრულს, უნდა ითქვას, რომ შშმ პირთა მიმართ არსებული სტიგმა მათ დედებზე სრულად, ზოგ შემთხვევაში კი ნაწილობრივ ვრცელდება. ემოციური თვალსაზრისით, დედებს უწევთ პირისპირ შეეჯახონ იმ რეაქციებს, რაც საზოგადოების წევრებს მათი შშმ შვილის მიმართ აქვთ. მდგომარეობას ამძიმებს ის ფაქტიც, რომ რიგ შემთხვევებში, შშმ შვილის დაბადება, გარშემომყოფთა მხრიდან, დედების ფიზიოლოგიურ ჯანმრთელობას, მშობიარობამდე ცხოვრებას, თუ მავნე ჩვევების არსებობას ბრალდება, მაშინ, როცა სამედიცინო დიაგნოზი ამას სრულებითაც არ ასკვნის. ამ გზით, დედები, საზოგადოების მიერ, ხშირად დამნაშავეებად და შვილების მდგომარეობის მაპროვოცირებლებად აღიქმებიან, რაც მათ სტიგმატიზებასაც განაპირობებს (Sausa, 2011). განხილული კვლევიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიუხედავად იმისა, ზოგიერთი ქვეყანა შშმ პირებისთვის შედარებით ადაპტირებულია, მათთვის და მათი დედებისთვის პრობლემები ჯერ კიდევ მრავლად არსებობს.

მეთოდოლოგია

დასაწყისში, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის მიზანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დედების სოციალური პროფილის შესწავლა იყო, კონკრეტულად კი საჭირო გახდა იმის დადგენა, თუ:

- რა დროითი, მიზეზობრივი, სივრცითი კავშირები არსებობს ფაქტებსა და მათ შეფასებებს შორის;
- როგორ იცლებოდა დედის მდგომარეობა/დატვირთვა ბავშვის ასაკის მატებასთან ერთად;
- რამდენად მოქმედებდა საზოგადოებრივი აზრი, შშმ პირთა დედების ფსიქო-სოციალურ მდგომარეობაზე;
- როგორ აფასებენ დედები თავიანთ განვლილ ცხოვრებას და რას ურჩევენ სხვა შშმ პირთა მშობლებს.

აღნიშნულის შესაბამისად, ბუნებრივია, კვლევის ობიექტებს შშმ პირთა დედები, ხოლო საგანს, სწორედ მათი სოციალური პროფილის შესწავლა წარმოადგენდა. მიზნის მისაღწევად, თვისებრივი კვლევის მეთოდი, კონკრეტულად კი, ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუ იყო გამოყენებული. აღნიშნული საშუალებას იძლეოდა, გამოკვეთილიყო, თუ რა შეიცვალა დედების ცხოვრებაში მას შემდეგ, რაც მათ შვილს შშმ პირის დიაგნოზი დაუსვეს. მთლიანობაში, გამოვლინდა, თუ როგორ

წარმართა მათი ცხოვრება და რა წინააღმდეგობებს წააწყდნენ ოჯახსა, თუ საზოგადოებაში. ამ მიდგომის მეშვეობით, გაანალიზდა, თუ რამდენად რთულია, ჩვენს საზოგადოებაში იყო შშმ პირის დედა და როგორ რეაგირებს ამაზე სახელმწიფო.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა 30 ბიოგრაფიულ-ნარატიული ინტერვიუ, ხოლო რესპონდენტები შერჩეულნი იყვნენ ისეთი კრიტერიუმებით, როგორებიცაა სქესი (მდედრობითი), ოჯახური მდგომარეობა (როგორც დაოჯახებული, ასევე მარტოხელა მშობლები), საცხოვრებელი ადგილი (თბილისი) და ის, რომ ისინი შშმ პირთა დედები არიან.

მონაცემთა ანალიზის პირველ ეტაპზე, ერთმანეთისგან გამოცალკევდა ფაქტები/ნარატივები და შეფასება/ინტერპრეტაცია, რამაც, მომავალში, მნიშვნელოვნად განსაზღვრა მიზეზობრივი/მიზნობრივი/დროითი კავშირების კლასიფიცირება ფაქტების დონეზე, ეს კი, მეორე ეტაპის დამახასიათებელი ნიშანია.

მონაცემთა ანალიზის მესამე ეტაპზე შეიქმნა ერთგვარი ანალიზური აბსტრაქცია, ამ საფეხურზე, მოხდა ყველაზე გავრცელებული ბიოგრაფიული სქემების/სქემის გამოვლენა, რაც პირველი ნაბიჯი იყო განზოგადების გზაზე. ამ ეტაპზე შემოვიდა ნარატიული ბიოგრაფიული სქემა და მოხდა ყველა იმ ამბის აბსტრაქცია, რომლებიც ექსკლუზიურად უკავშირდებოდა ბიოგრაფიას. აღნიშნულ ეტაპზე, გამოყენებულ იქნა ისეთი ამბები, რომლებიც 10-ჯერ ან მეტჯერ გამოვლინდა, ეს იყო ერთგვარი ნარატივები, რომლებიც ბიოგრაფიული თვალსაზრისით ანათესავებდა გამოკითხულ რესპონდენტებს.

რაც შეეხება შემდგომ ეტაპს, ცოდნის ანალიზის პროცესში, უკვე გათვალისწინებული იყო შეფასებითი ნაწილი. თითოეულ ბიოგრაფიულ სქემას ახლდა რესპონდენტის მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები. აღნიშნულის მისაღწევად, შეიძლებოდა ორი გზის გამოყენება: 1) შეფასებები დაწერილიყო ცალკეულ ინტერვიუებთან მიმართებით ე.ი ცალკეული ინტერვიუს გაერთიანებით შეფასებებთან; 2) საერთო ბიოგრაფიულ სქემაში იმ შეფასების გათვალისწინებით, რომელიც ეხებოდა აღნიშნულ სქემას - სწორედ ეს უკანასკნელი გახდა მონაცემთა ანალიზის მეოთხე ეტაპის ძირითადი სახელმძღვანელო. ანალიზის პროცესის დასასრულს, გამოიკვეთა მინიმალური და მაქსიმალური კონტრასტები. მნიშვნელოვანი იყო ე.წ „იდეალური ტიპის“ ფორმირება, რამაც რესპონდენტთა ყველა ძირითადი მახასიათებელი გააერთიანა.

კვლევის შედეგები

ოჯახში არსებული სიტუაცია

ბიოგრაფიულ-ნარატიულ ინტერვიუებზე დაყრდნობით, რესპონდენტთა ცხოვრების გარკვეულ ასპექტებს შორის მსგავსებები გამოიკვეთა. კვლევის ფარგლებში გამოკითხულ შშმ პირთა დედებს, ერთმანეთთან ბიოგრაფიაში გამოკვეთილი შემდეგი ნიუანსები ანათესავებთ - მათი უმეტესობა, მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა. ვინაიდან, ამ ფაქტორს მათ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, საინტერესოა გავითვალისწინოთ ის შეფასებები, რომლის მეშვეობითაც დედები, საკუთარ მშობლებს ახასიათებენ. გამოიკვეთა მოსაზრება, რომ ოჯახის წევრებს შორის, ნორმალური ურთიერთობა იყო.

„მე შეიძლება ითქვას, ბედნიერი ოჯახი მყავდა. ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი დრო იქ მქონდა“ (ნანა, 54 წლის, სამი შვილის დედა, შშმ შვილის ასაკი 13 წელი).

აღსანიშნავია ისიც, რომ შშმ პირთა დედებს, ოჯახის წევრებთან, მათივე თქმით, დადებითი ურთიერთობა აქვთ, მაგრამ განსხვავებული ვითარებაა ერთ-ერთი რესპონდენტის შემთხვევაში, რომელსაც თავის დედამამიშვილებთან სატელეფონო კონტაქტიც კი არ აქვს, ხოლო მამასთან დიდი ხნის მანძილზე დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა, რადგან მშობელი ვერ ეგუებოდა, მის „შეუფერებელ ქმარს“.

რესპონდენტების უმრავლესობა რეგიონში დაიბადა და აღიზარდა, ხოლო ქორწინების შემდგომ, თითოეულმა მათგანმა საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა.

ამ დროისთვის არსებულ თავიანთ ეკონომიკურ სიტუაციას, კვლევაში მონაწილეები დადებითად ვერ აფასებენ, რადგან თვლიან, რომ უმუშევრობამ და განსხვავებულმა მატერიალურმა მოთხოვნილებებმა მათ მდგომარეობას გარკვეული კვალი დაამჩნია.

ბავშვის გაჩენამდე პერიოდი

იმის გამო, რომ შშმ პირების ჩვენ მიერ გამოკითხული დედების უმეტესობა ნაადრევ ასაკში დაქორწინდა, ზოგიერთმა მათგანმა მხოლოდ საშუალო განათლების მიღება შეძლო.

„17 წლის ასაკში, გავთხოვდი ჩემ დაუკითხავად. ვერც განათლება მივიღე. მხოლოდ სკოლა დავამთავრე“ (მზია, 43 წლის, ორი შვილის დედა, შშმ შვილის ასაკი 22 წელი).

თუმცა არსებობენ ისეთებიც, ვინც უმაღლესი განათლების დაწესებულებაში დაამთავრა სწავლა. ამ მხრივ, გარკვეული კონტრასტი იკვეთება, კერძოდ კი ის, რომ შეიმჩნევა სხვაობა განათლების დონეებს შორის, რაც, ხშირად, უკვე შემდგომი ცხოვრების განმაპირობებელი ხდება ხოლმე.

საყოველთაოდ მიღებული განმარტებების თანახმად, ტერმინი „ადრეული ქორწინება“ ორ ადამიანს შორის იურიდიული ქორწინების ან ჩვეულებითი კავშირის შემთხვევებს ასახავს, როდესაც ერთი ან ორივე პარტნიორის ასაკი 18 წელზე ნაკლებია („საფარი“, 2016). ამ მხრივ, კვლევის რესპონდენტებზე შეიძლება ითქვას, რომ მათი უმეტესი ნაწილი, ნაადრევად დაქორწინებულად ითვლება. მიუხედავად ამისა, არსებობს რამდენიმე მონაწილე, რომელთაც ნაადრევ ასაკში არ შეუქმნია ოჯახი, ასეთებს, არსებულ მოცემულობებში გარკვეული ახლებური პატერნი შემოაქვთ.

გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე (დაეტოვებინათ თუ არა შშმ შვილი), გამოკითხულ რესპონდენტებს ძირითადად პარტნიორები/მეუღლეები ეხმარებოდნენ. თუმცა არსებობს ისეთი გამონაკლისი, რომლის შემთხვევაშიც პარტნიორის ჩართულობა მინიმუმამდე იყო დაყვანილი.

„პირველ რიგში ჩემი ქმარი დამეხმარა. ყველაზე მეტად ზუსტად იმან იმოქმედა, რომ თავიდანვე ამომიდგა გვერდში და როცა გადაწყვეტილებას ვიღებდით, ამბობდა რაც არ უნდა იყოს, ჩვენი შვილია და პასუხისმგებლობა გვაკისრიაო.... ეს იყო პირველი, რამაც მიბიძგა ასე მოქცევისკენ“ (ანელი, 56 წლის, სამი შვილის დედა, შშმ შვილის ასაკი 13 წელი).

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ რესპონდენტების უმეტესმა ნაწილმა, მათი შვილების შშმ სტატუსის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ გაიგო, რაც ბავშვები გაჩნდნენ, მანამდე კი იცნობდნენ ისეთ დედებს, რომლებსაც მსგავსი მოცემულობა ჰქონდათ. ამ ფაქტმა მნიშვნელოვნად განაპირობა მათი ასეთი გადაწყვეტილების მიღება, თუმცა არსებობდა სხვა განსაკუთრებული ფაქტორებიც, რომლებსაც არანაკლები წვლილი მიუძღვით, მაგალითად, ოჯახის სხვა წევრების მხრიდან გამოცხადებული მხარდაჭერა, რაც რესპონდენტთათვის თავის დროზე გარდამტეხი აღმოჩნდა.

ოჯახის წევრების მხარდაჭერამ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ გადაწყვეტილების მიღებაში, რაც შვილის დატოვება/არდატოვებასთან იყო დაკავშირებული. მნიშვნელოვანია მეუღლეების თანადგომა, რაც შშმ პირების დედების შეფასებით, ემოციურად ძალიან დადებითი და მამოტივირებელი აღმოჩნდა. ეხმარებოდნენ უფროსი შვილებიც, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი შშმ დედამამიშვილის აღზრდისა და განვითარების საქმეებში.

ბავშვობის პერიოდი

ბავშვობის პერიოდში, რესპონდენტები მთელ დროს შვილებს უთმობდნენ, რადგან თვლიდნენ, რომ ისინი დამოუკიდებლად არსებობას ვერ შეძლებდნენ. ამან, მათივე აზრით, განაპირობა ის, რომ დღეისათვის არ არიან დასაქმებულნი.

"რაც დონეზე გამოივიდა, გადაადგილების პრობლემა რომ არ იყოს, მთლად დამოუკიდებლობასაც მივცემდი, მაგრამ ჯერ ასე არ გამოვა. სხვა ყველაფერს რაც შეეხება სხვა რამეებს, ამ მხრივ სრულიად დამოუკიდებელია" (თეა, 45 წლის, სამი შვილის დედა, შშმ შვილის ასაკი 12 წელი).

ბავშვობის პერიოდში გამოკვეთილ ძირითად პრობლემად რესპონდენტები არაადაპტირებულ გარემოს ასახელებენ, რაც მათი შვილების გადაადგილებას უფრო რთულს ხდის, ეს კი ადრეც და ახლაც ხელს უშლის დამოუკიდებლობის მიღწევასა და დედების ფიზიკური დატვირთვის შემცირებას.

"წინასაარჩევნოდ, რომ მოდიან ყველა მპირდება კი ქალბატონო გავაკეთებთ პანდუსს, არავინ უარს არ ამბობს, მაგრამ რეალურად 2003 წლიდან დღემდე არავის არაფერი გაუკეთებია, წამით მაინც, რომ წარმოიდგინონ რა ძალა მჭირდება გოგას 9 საფეხურზე ასაყვანად, ალბათ მალევე გააკეთებდნენ" (მზია, 43 წლის, ორი შვილის დედა, შშმ შვილის ასაკი 22 წელი).

მნიშვნელოვანი იყო საზოგადოებრივი აზრიც. გარშემომყოფთა დამოკიდებულება, დედების შეფასებით, ცალსახად ნეგატიურ გავლენას ახდენდა მათზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არც ერთ მათგანს დაუკარგავს სურვილი, შვილები გარეთ, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ეტარებინათ.

ძირითადად, შშმ შვილის ყოლასთან ერთად, დედებს ფიზიკური საზრუნავის გარდა, მატერიალური პრობლემებიც დაემატათ. გარდა ამისა, ბავშვობის პერიოდში, არცერთ ჩვენ მიერ გამოკითხულ დედას, შვილი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში არ დაჰყავდა და იმ დროისთვის მათი აღზრდა/გაზრდა საკუთარ თავზე ჰქონდა აღებული. ამ მხრივ, განსხვავებული მდგომარეობა

ტინეიჯერობის ეტაპზე, როცა უმეტესმა მათგანმა სკოლაში დაიწყო სიარული და შესაბამისად, ინკლუზიური განათლების მიღება.

ცხოვრების იმ ეტაპზე, დედებმა სხვა შშმ ბავშვების მშობლები უკეთ გაიცნეს, დამეგობრდნენ და მათთან ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება დაიწყეს, რამაც ბავშვობის პერიოდი შედარებით მარტივი გადასატანი გახადა.

ტინეიჯერობის პერიოდი

კვლევის ფარგლებში გამოკითხული შშმ პირების დედები, მთელ დროს საკუთარ შვილებს უთმობენ, აღსანიშნავია რომ ეს ბავშვები მათი ჯერჯერობით უკანასკნელი შვილები არიან, მანამდე კი ჰყავდათ სხვა - უფროსები. ძირითადად მათი შშმ შვილები ტინეიჯერები არიან, თუმცა მათ შორის არსებობენ ისეთებიც, რომელთა შვილებმაც ცხოვრების ეს ეტაპი უკვე გადალახეს.

რაც შეეხება შეფასებას იმის თაობაზე, დაუშვიათ თუ არა რაიმე შეცდომა რესპონდენტებს შვილების აღზრდასთან მიმართებით, ცხოვრების ამ ეტაპზე, ისინი ამბობენ, რომ ასეთი რამ თითქმის არ არსებობს, რადგან არსებული რესურსების გათვალისწინებით მათ ყველაფერი გააკეთეს.

შემდეგი კონტრასტი განათლების მიღების საკითხთან მიმართებით ფიქსირდება. მიუხედავად იმისა, რომ სკოლამდელ აღზრდასთან დაკავშირებით მსგავსი ტენდენცია გამოვლინდა, განსხვავებული მდგომარეობაა სასკოლო განათლების დონეზე. რამდენიმე მშობელს ჰქონდა მცდელობა, შვილისთვის ინკლუზიური განათლება მიეცა. საბოლოოდ, მხოლოდ ერთმა მათგანმა მოახერხა ეტარებინა შვილი საშუალო სკოლაში და ხელი შეეწყო მისთვის, ამ ტიპის განათლების მიღებაში.

დედები კმაყოფილნი არიან ინკლუზიური განათლების შესაძლებლობით, თუმცა თვლიან, რომ ამ მხრივ ჯერ კიდევ უამრავი ხარვეზი შეინიშნება, რაც შშმ პირების ყოველდღიურობას მეტად ამძიმებს.

ტინეიჯერობისას იკვეთება ახალი პრობლემები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია გადაადგილების გართულებასთან.

საზოგადოების რეაქცია, გამოკითხული დედების თქმით, ერთგვაროვანია და ძირითადად სიბრაღის ან აგრესიის გამოხატვით ვლინდება.

„ერთხელ გოგასთან ერთად მეტროსთან ჩავედი. გზაში ზოგი ვაშლს გვაწვდიდა, ზოგი რას, ზოგი რას, გაუვსეს კალთა ბავშვს. თან ამბობდნენ - „ ვაი შენს დედას...“ დავიძაბე ძაან, მოკლედ ჩემ შვილთან ერთად მშვიდად ველარ გამივლია ქუჩაში ... “ (მზია, 43 წლის, ორი შვილის დედა, შშმ შვილის ასაკი 22 წელი).

ხოლო, ის, რომ დედებს თავისუფალი დრო არ აქვთ, მათ მიერ აიხსნება ფაქტით, რომ შშმ შვილები უდიდეს მზრუნველობასა და ძალისხმევას მოითხოვენ.

პირადი ცხოვრება

რესპონდენტთა უმეტესობას თავისუფალი დრო თითქმის არ აქვს და მათი ცხოვრება მხოლოდ შვილების მოვლით შემოიფარგლება, თუმცა ისინი ახერხებენ სხვა შშმ პირების დედებთან

ურთიერთობას და ინფორმაციის გაცვლას. აღსანიშნავია ისიც, რომ მათთვის ინტიმური ცხოვრება, შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს.

"მთელი ჩემი დრო და ენერგია ბავშვთანაა, ამიტომ პირადი ცხოვრება მას შემდეგ რაც მესამე შვილი მეყოლა მესახარისხოვანი გახდა. იმიტომ, რომ როცა მთელი დღე 13 წლის შვილს ატარებ, უვლი, ეს ფიზიკურ და გონებრივ მუშაობას მოითხოვს ..." (ანელი, 56 წლის, სამი შვილის დედა, შშმ შვილის ასაკი 13 წელი).

როგორც აღვნიშნეთ, ეს განპირობებულია მათი შვილების სპეციფიკური მდგომარეობით, მაგალითად, ამ ბავშვებს მუდმივად ექმნებათ გადაადგილების პრობლემა, ზოგიერთ მათგანს არ შეუძლია დამოუკიდებლად კვება. ამ ყველაფერს საზოგადოების უჩვეულო რეაქციაც ემატებოდა.

მას შემდეგ, რაც შშმ ბავშვები ქვეყანას მოევილინენ, მათ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში არ უვლიათ, თუმცა ეს მდგომარეობა სასკოლო ეტაპზე გამოსწორდა. მიუხედავად იმისა, რომ ისინი დროის გარკვეულ მონაკვეთს სასწავლო დაწესებულებაში ატარებენ, ეს დედებს ვერ ათავისუფლებს დაკისრებული პასუხისმგებლობისგან და აძლევს საფუძველს იფიქრონ, რომ მუშაობა ამ ეტაპზეც ვერ გამოვა, რადგან მათ შვილებს სკოლაში ნებისმიერ წამს შეიძლება დასჭირდეთ დახმარება.

დასაქმების მხრივ შეიმჩნევა კონტრასტი - გამოკითხულ მშობელთა უმრავლესობა არ მუშაობს, მხოლოდ ერთი მშობელია დასაქმებული, ის, რომელმაც სრულფასოვნად მოახერხა მიეღო უმაღლესი განათლება. ის, რომ მოცემულ ეტაპზე, არ მუშაობენ, დედების მიერ ახსნილია იმით, რომ დროის დეფიციტი აქვთ. აღნიშნულის გამო, ოჯახში მთავარ შემომტანს რესპონდენტთა ქმრები, ან მათი მშობლები წარმოადგენენ.

დამოკიდებულება სახელმწიფოსა და სხვა ინსტიტუტების მიმართ

როგორც გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, შშმ პირები და მათი დედები სახელმწიფოს მხრიდან ძირითადად განათლებისა და ჯანდაცვის სერვისებს იღებენ. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, ამ ბავშვების ცხოვრებაში, მათი როლი საკმაოდ მცირეა.

მშობლებს ბავშვის გაჩენის შემდეგ, სხვადასხვა მატერიალური პრობლემა დაემატათ, რაც გამოწვეული იყო მედიკამენტების მიღების აუცილებლობით, ექიმთან ვიზიტის ხარჯებით, დედების სამუშაო დროის შეზღუდვითა და გადაადგილებისთვის საჭირო ფულადი რესურსით. დედებს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტინეიჯერი შვილები ჰყავთ, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ ასაკის მატებასთან ერთად საჭიროებებიც იზრდება.

გამოკითხული მშობლებიდან მხოლოდ ერთია ისეთი, რომელიც სახელმწიფოსაგან არ იღებს არანაირ დახმარებას, არ სარგებლობს სხვადასხვა სპეციფიკური პროგრამით, რომელიც შშმ ბავშვებისთვისაა განკუთვნილი, მაგალითად, ჯანდაცვის პროგრამები. ამ მხრივ, კონტრასტულია სხვა დედების მდგომარეობა, რომლებიც სახელმწიფოსგან შეთავაზებულ სერვისებს გარკვეული დოზით იღებენ.

"ტყუილს ნამდვილად ვერ ვიტყვი, იმ დროიდან რაც თბილისში მარტო გადმოვედით სულ მეხმარება სახელმწიფო. დღის ცენტრები, რომ არა ამდენ რამეს ვერ გავუკლავდებოდი" (ნანა, 46 წლის, ორი შვილის დედა, შშმ შვილის ასაკი 15 წელი).

მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტები ძირითადად სარგებლობენ სახელმწიფოს მხრიდან შეთავაზებული განათლებისა და ჯანდაცვის სერვისებით, თვლიან რომ ეს ყველაფერი საკმარისი არ არის და უფრო მეტი დროისა და რესურსის გამოყოფას საჭიროებენ.

თუ ყურადღებას ფულად დახმარებაზე გავამახვილებთ, უნდა ითქვას, რომ რესპონდენტების ნაწილი მატერიალური დახმარების სახით შვილისთვის განკუთვნილ პენსიას იღებს, რაც თვიურად დაახლოებით 180 ლარს შეადგენს. მშობლები, რომლებიც ამ დახმარებით სარგებლობენ აღნიშნავენ, რომ პენსიის ოდენობა იმდენად მცირეა, რომ თითქმის არაფერშია საკმარისი.

„მარიამის პენსია, ჩვეულებრივია როგორც სხვა, 180 ლარი. არაფერში არ გვეყოფნის, რა არის 180 ლარი, რაში უნდა ეყოს ახლა ასეთ ბავშვს. ერთი პამპერს ღირს 50 ლარი ...“ (მანანა, 38 წლის, ორი შვილის დედა, შშმ შვილის ასაკი 19 წელი).

რაც შეეხება არასამთავრო ორგანიზაციებს, დედებს, ერთი მხრივ, ინფორმაცია არ აქვთ მათ შესახებ, მეორე მხრივ კი, არ ინტერესდებიან მათ მიერ შეთავაზებული პროგრამებით. მიუხედავად ამისა, ეს ქალები, შვილებთან ერთად დროდადრო ერთვებიან მათ პროექტებსა და ღონისძიებებში, სარგებლობენ მათი შეთავაზებებითა და სიახლეებით. რიგ შემთხვევაში, დედები თავად არიან მსგავსი ორგანიზაციის დამფუძნებლები, ან თანამშრომლები, თუმცა არსებობენ ისეთებიც, რომლებიც განსხვავებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. მთლიანობაში, დედების შეფასებით, არასამთავრობო ორგანიზაციების როლი საკმაოდ მცირეა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში შშმ პირებისთვის განკუთვნილი და მათზე მომუშავე არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია არსებობს, მათი ჩართულობა ამ შემთხვევებში უმნიშვნელოა.

ზოგჯერ შშმ პირთა დედები, თავიანთ შვილებს კონკრეტულ პროექტებში აღებინებენ მონაწილეობას, რაც მათი აზრით, საჭიროა საზოგადოებაში ინტეგრირებისთვის, შვილების გააქტიურებისა და ახალი სფეროებით დაინტერესებისთვის. ძირითადად, შშმ პირთა დედები შვილთან ერთად ერთვებიან ისეთ პროექტებსა და აქტივობებში, რომლებიც მათთვის არის განკუთვნილი. ეს კი, იმის გამო ხდება, რომ ხელი შეეწყოს შშმ ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრირებასა და მათი აქტივიზმის დონის გაზრდას. აქვე იკვეთება შემდეგი კონტრასტი - შშმ პირებისთვის განკუთვნილი პროექტები და ღონისძიებები, გამოკითხულთა ნაწილისთვის ერთგვარი მისწრაფების საგანი და წინსვლის ინდიკატორია, მაგრამ არსებობენ ისეთებიც, ვინც საერთოდ არ ერთვება მსგავს აქტივობებში.

დასკვნა

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ გამოკითხული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დედების იდეალური ტიპი მოიცავს ისეთ საერთო მახასიათებლებს, როგორებიცაა:

ისინი, ნუკლეარულ, მრავალშვილიან ოჯახებში დაიბადნენ და საშუალო, ან უმაღლესი განათლების მიღება შეძლეს. სამუშაო გამოცდილება ყველა მათგან აქვს, თუმცა, ამჟამად არც ერთია დასაქმებული. მათი აზრით, ოჯახის წევრებს ნორმალური ურთიერთობა ჰქონდათ, რამაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში იჩინა თავი. როდესაც დედები ცდილობდნენ საბოლოოდ გადაეჭრათ შვილების შენარჩუნების საკითხი, ოჯახის წევრებმა თავიანთი მხარდაჭერითა და სოლიდარობით, მნიშვნელოვნად განაპირობეს, შშმ პირის დაბადების გადაწყვეტილება.

შშმ პირთა დედები მთელ დროს საკუთარ შვილებს უთმობენ, აღსანიშნავია რომ შშმ ბავშვები მათი ჯერჯერობით უკანასკნელი შვილები არიან, მანამდე კი ჰყავდათ სხვა - უფროსები. ძირითადად, შშმ შვილების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მშობლებმა მხოლოდ ბავშვების დაბადების შემდეგ შეიტყვეს.

მას შემდეგ რაც, შშმ ბავშვები ქვეყანას მოევიდნენ, მათ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში არ უვლიათ, თუმცა ეს მდგომარეობა სასკოლო ეტაპზე გამოსწორდა. ამ და სხვა პერიოდებში მუდმივად იქმნებოდა გადაადგილების პრობლემა, რასაც საზოგადოების მხრიდან სიბრაღულით ან აგრესიით აღსავსე რეაქციაც ემატებოდა.

გამოკითხული დედების სოციალური პროფილისათვის დამახასიათებელია, რომ მათ თითქმის არ აქვთ თავისუფალი დრო. გარდა შვილების გაზრდა/აღზრდისა, ისინი სხვა შშმ პირთა დედებთანაც ურთიერთობენ და მათთან ინფორმაციას, გამოცდილებას ცვლიან. აღსანიშნავია, რომ ზოგადი შეფასებით, შვილების აღზრდისას/გაზრდისას, ან მათთან ურთიერთობაში შეცდომა ფაქტობრივად არ არის დაშვებული.

შშმ პირთა მშობლებს ბავშვის გაჩენის შემდეგ, სხვადასხვა მატერიალური პრობლემა დაემატათ, რაც მედიკამენტების მიღების აუცილებლობით, ექიმთან ვიზიტის ხარჯებით, დედების სამუშაო დროის შეზღუდვითა და გადაადგილებისთვის საჭირო ფულადი რესურსით იყო გამოწვეული. გამოკითხულ რესპონდენტებს ამ ეტაპზე ტინეიჯერი შვილები ჰყავთ, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ ასაკის მატებასთან ერთად საჭიროებებიც გაიზარდა. როგორც გამოიკვეთა, ისინი სახელმწიფოს მხრიდან ძირითადად ჯანდაცვისა და განათლების სერვისებს იღებენ, რაც საკმარისი არ არის.

განხილულ შემთხვევებში, არასამთავრობო ორგანიზაციების როლი საკმაოდ მცირეა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში შშმ პირებისთვის განკუთვნილი და მათზე მომუშავე არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია არსებობს, ამ უკანასკნელთა ჩართულობა, კვლევის ფარგლებში გამოკითხული რესპონდენტებისა და მათი შვილების ცხოვრებაში უმნიშვნელოა. საინტერესოა ისიც, რომ რიგ შემთხვევებში, დედებს ან არ აქვთ მათ შესახებ ინფორმაცია, ან უბრალოდ არ ინტერესდებიან მათით.

დედები, შშმ შვილებთან ერთად, ერთგებიან ისეთ პროექტებსა და აქტივობებში, რომლებიც მათთვისაა განკუთვნილი. ეს კი, იმის გამო ხდება, რომ ხელი შეეწყოს შშმ ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრირებასა და მათი აქტივიზმის დონის გაზრდას.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ შშმ პირთა დედების ძირითადი დრო და ყურადღება მათი შშმ შვილებისკენ არის მიმართული. ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო, ასეთ დედებს ინტიმური ცხოვრება გვერდზე აქვთ გადაადგილებული და მეგობრებთან საკონტაქტოდ, ან სხვა არაფორმალური აქტივობებისთვის დრო და ენერჯია ნაკლებად რჩებათ. შშმ პირების მშობელ ქალებს, სხვა ამგვარი მოცემულობის მქონე დედებთან აქტიური კონტაქტი აქვთ, რაც მათი ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდას განაპირობებს. აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფო სერვისებიდან, მათი მხრივ მხოლოდ განათლებისა და ჯანდაცვის სერვისები არის გამოყენებული, არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონტაქტი კი ძალზე მცირეა.

ბიბლიოგრაფია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი. (2018). შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შესახებ სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების ანალიზი. 5-6;

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. (2001). საქართველოს კანონი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ. Retrieved from: <https://matsne.gov.ge>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2015). Retrieved from <https://www.geostat.ge>

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი. (2016). „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სტიგმატიზაციის კვლევა“, 6-7;

ქალთა უფლებების დაცვის ორგანიზაცია „საფარი“. (2016) *ადრეული ქორწინება*. Retrieved from: https://sapari.ge/wp-content/uploads/2017/07/Sapari_leaflet_geo.pdf

Barbosa, M. A. M., Chaud, M. N., & Gomes, M. M. F. (2007). *Experiences of mothers of disabled children: a phenomenological study*. 47-50;

Sadziak, A., Wiliński, W., & Wiczorek, M. (2019). *Parental burnout as a health determinant in mothers raising disabled children*. *Baltic Journal of Health and Physical Activity*, 78-82;

Sharma, N., Chakrabarti, S., & Grover, S. (2016). *Gender differences in caregiving among family - caregivers of people with mental illnesses*. *World Journal of Psychiatry*, 8-12.

Zibricky, D. (2014). *New knowledge about motherhood: An autoethnography on raising a disabled child*. *Journal of Family Studies*, 39-47;

Sousa, A. C. (2011). *From refrigerator mothers to warrior heroes: The cultural identity transformation of mothers raising children with intellectual disabilities*. *Symbolic Interaction*, 220-243.